საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030131919369021

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/19387 **03 / დეკემბერი / 2021 წ.**

მოქალაქე მაგდა მემანიშვილს

ქალბატონო მაგდა,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2021 წლის 22 ნოემბერს შემოსული თქვენი N114336 განცხადების პასუხად, რომელშიც მოთხოვნილია ინფორმაცია ონკოლოგიური პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის თაობაზე, გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო განიხილავს საქართველოს მოქალაქეთა (მ.შ. ონკოლოგიური პაციენტების) ფინანსური მხარდაჭერის საკითხებს, როდესაც დგება მათი საზღვარგარეთ მკურნალობის საჭიროება.

განაცხადები საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსების თაობაზე, განიხილება საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის N331 დადგენილების თანახმად შექმნილ კომისიის სხდომებზე.

კომისიის მუშაობის ზოგადი პრინციპები, შეზღუდვები, დაფინანსების პირობები, ასევე, დაფინანსების პრიორიტეტები სოციალური სტატუსის, სიტუაციების, ასაკის და ავადობის, სიკვდილობის უხშირეს გამომწვევ დაავადებათა ჯგუფების მიხედვით, განსაზღვრულია ამავე დადგენილებითა და ‘’’’რეფერალური მომსახურების’’ ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის მიზნით კომისიის შემადგენლობის, მისი საქმიანობის პრინციპების, მომსახურების მოცულობის, დაფინანსების მექანიზმისა და ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ’’ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N01-469/ო 24/11/2021 წ. ბრძანების N2 დანართით.

კომისიაზე განსახილველად აუცილებელია შემდეგი დოკუმენტაციიის წარმოდგენა:

ა) მაძიებლის და წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) მიმდინარე წელს გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმაN IV–100/ა), სადაც მკაფიოდ და დეტალურად არის განმარტებული ყველა პუნქტი, შესაბამისი ICD–10 და/ან NCSP კოდების მითითებით: დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ან სრული დიაგნოზი (ძირითადი დაავადება, თანმხლები დაავადებები, გართულებები), გადატანილი დაავადებები, ანამნეზი, ჩატარებული დიაგნოსტიკური გამოკვლევები და კონსულტაციები, ავადმყოფობის მიმდინარეობა. საზღვარგარეთ მკურნალობის/დიაგნოსტიკის დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში ფორმა № IV-100/ა-ში დამატებით უნდა იყოს ექიმის რეკომენდაცია საზღვარგარეთ მკურნალობის/დიაგნოსტიკის საჭიროების თაობაზე (ICD– 10 და NCSP კოდების მითითებით).

გ) საზღვარგარეთის სერვისის მიმწოდებლის მიერ საერთაშორისო ვალუტაში (დოლარი, ევრო) გაცემული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანგარიშ-ფაქტურა კალკულაციით (ნათარგმნი და დამოწმებული ნოტარიალურად).

დანახარჯები მითითებულ უნდა იქნეს შემდეგი ჩაშლის მიხედვით:

- არასამედიცინო მომსახურება (ტრანსფერი, სასტუმრო, თანმხლები პირი სხვა);

- სამედიცინო მომსახურება: (ოპერაციული ჩარევა; კონსერვატიული მკურნალობა; დიაგნოსტიკა; ქიმიოთერაპია;სხივური თერაპია და სხვა.)

ასევე, აუცილებელია საზღვარგარეთ მკურნალობის აუცილებლობის თაობაზე ექსპერტ-სპეციალისტის დასკვნის წარმოდგენა.

საქართველოს ფარგლებს გარეთ, მკურნალობის დაფინანსების საკითხი, განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი დარგის პროფესიული ასოციაციის ან ექსპერტის წერილობითი დასკვნა დაადასტურებს, რომ მოთხოვნილი სამედიცინო სერვისის მიღება საქართველოში შეუძლებელია.

დანართის სახით წარმოგიდგენთ ინფორმაციას 2011-2021 წლებში საზღვარგარეთ დაფინანსებული მოქალაქეების თაობაზე.

დანართი: 1 (excel) ფაილი.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ანა დარახველიძე

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და
საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურების
სამმართველოს უფროსი, მეორადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი